



# ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საპრეზიდენტო



განკარგულება № 109

19 მარტი  
“—” 2021 წ

## ქ. 0104010

ქალაქ თბილისში, დიღმის სასწავლო საცდელ მეურნეობაში არსებულ მიწის ნაკვეთებზე  
(საკადასტრო კოდები: №01.72.14.009.523; №01.72.14.009.443) მრავალფუნქციური  
კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“  
მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 73-ე მუხლის მე-2  
პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის  
24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის  
ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების“, ქალაქ  
თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2021 წლის 17 მარტის №21.326.377  
განკარგულების შესაბამისად, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. დამტკიცებულ იქნას ქალაქ თბილისში, დიღმის სასწავლო საცდელ მეურნეობაში  
არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: №01.72.14.009.523; №01.72.14.009.443)  
მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი  
დავალების პროექტი, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის  
მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ოფიციალურ  
ვებ - გვერდზე [www.ms.gov.ge](http://www.ms.gov.ge) რეგისტრირებული №0120358710-67 (№01210724-67)  
განაცხადის და თანდართული დოკუმენტაციის შესაბამისად;

2. აღნიშნული განკარგულების შესაბამისად, გასატარებელი ღონისძიებების  
განხორციელება დაევალოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის  
მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს.

3. განკარგულება მაღაშია ხელმოწერისთანავე.

4. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო  
სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით  
აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის  
საკრებულოს თავმჯდომარე

გ. თბილისი, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მისამართი

ქალაქ თბილისში, დიღმის სასწავლო საცდელი მეურნეობა არსებულ მიწის ნაკვეთებზე  
(საკადასტრო კოდები: N01.72.14.009.523,N01.72.14.009.443)

მრავალფუნქციური კომპლექსის

განაშენიანების რეგულირების გეგმის

გეგმარებითი დავალება

თბილისი

2021 წელი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და  
ურბანული განვითარების სააგენტო

## გეგმარებითი დავალების შინაარსი

1.	გეგმარებითი დავალების გაცემის საფუძველი.....	3
1.1	ტერმინთა განმარტება .....	3
1.2	სამართლებრივი საფუძვლები და განცხადების რეკვიზიტები.....	3
1.3	ამოსავალი პირობები .....	5
2	ტერიტორიის სამშენებლო განვითარების ზოგადი პირობები, მოთხოვნები და რეკომენდაციები .....	6
2.1	გასათვალისწინებელი ქალაქითმშენებლობითი სტანდარტები .....	6
2.1.1	გასათვალისწინებელ ტექნიკურ რეკომენდაციები: .....	7
2.2	ტერიტორიის დახასიათება .....	7
2.3	შენობა-ნაგებობის არქიტექტურულ-კომპოზიციური გადაწყვეტა და კავშირი მიმდებარე გარემოსთან.....	7
2.4	სივრცით მოცულობითი გადაწყვეტა; მიწის ნაკვეთზე არსებული შენობა-ნაგებობების დანგრევა და გადატანა, ან მათი სივრცით-გეგმარებითი მოწყობის შეცვლა .....	8
2.5	მიწის ნაკვეთზე შენობა-ნაგებობათა განთავსების პირობები და მაქსიმალური სიმაღლეების განსაზღვრა .....	9
2.6	მოთხოვნები იმ ფიზიკური და იურიდიული პირების უფლებების დაცვაზე, რომელთა ინტერესებსაც ეხება ტერიტორიის სამშენებლო განვითარება (საკადასტრო ერთეულების გაერთიანება-შერწყმა ახალი სერვიტულების წარმოქმნა, ინსოლაცია, ბუნებრივი განათება, ჩაუხედავობა და სხვა) .....	10
2.7	ტერიტორიაზე არსებული მწვანე ნარგავების შენარჩუნება, ტერიტორიის კეთილმოწყობა და გარემოს დაცვის პირობების განსაზღვრა .....	11
2.8	მშენებლობის ნებართვის გაცემისა და სანებართვო პირობების შესრულების საჯაროობა.....	11
2.9	ტერიტორიის და მისი გეგმარებითი არეალის საინჟინრო-კომუნალური, სატრანსპორტო და სოციალური ინფრასტრუქტურით უზრუნველყოფა .....	12
3	ტერიტორიის სამშენებლო განვითარების პარამეტრები; .....	12
3.1	საპროექტო ტერიტორიის არეალი.....	12
3.2	არსებული ქალაქითმშენებლობითი პარამეტრები .....	12
3.3	დასაშვები ფუნქციური ზონის სახეობები .....	15
3.4	განაშენიანების რეგულირების ხაზები .....	16
4	განაშენიანების რეგულირების გეგმის (მემდეგში – გრგ) შესათანხმებლად წარმოსადგენი დოკუმენტაციის ჩამონათვალი .....	16
5	შენიშვნები:.....	17

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების საგენტო

## 1. გეგმარებითი დავალების გაცემის საფუძველი

### 1.1 ტერმინთა განმარტება

დოკუმენტში გამოყენებული ტერმინები განმარტებულია „სივრცითი მოწყობისა და ქალაქთმშენებლობის საფუძვლების შესახებ“ საქართველოს კანონში და საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის N59 დადგენილებით დამტკიცებულ „დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების მირითადი დებულებების თაობაზე“ ტექნიკურ რეგლამენტში, რომლის მიხედვითაც მირითადი ტერმინები, გეგმარებითი დავალება და განაშენიანების რეგულირების გეგმა, განიმარტება შემდეგნაირად:

**გეგმარებითი დავალება** – დაგეგმვის უფლებამოსილების მქონე საქართველოს აღმასრულებელი ხელისუფლების შესაბამისი უწყებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს მიერ განსაზღვრული მოთხოვნების ერთობლიობა, რომლებიც ადგენს დაგეგმვის ამოცანებს, პარამეტრებს და ტერიტორიულ ფარგლებს, აგრეთვე დაგეგმვის და მისი განხორციელების კოლოგიურ, ტექნიკურ, საორგანიზაციო და სხვა პირობებს;

განაშენიანების რეგულირების გეგმა – ქალაქთმშენებლობითი დოკუმენტი, რომელიც დასახლებათა ტერიტორიებისთვის ადგენს მიწათსარგებლობის ზონებს (ქვეზონებს) ან/და აზუსტებს ცალკეული გეგმარებითი ერთეულების, განაშენიანების არქიტექტურულ-გეგმარებით და სივრცით-მოცულობით მახასიათებლებს, შენობების განთავსებას, მათ გეგმარებით პარამეტრებს; აზუსტებს უძრავი კულტურული მემკვიდრეობის დაცვისა და განვითარების ქალაქთმშენებლობით მახასიათებლებს, რელიეფის ორგანიზებას, ტერიტორიების კეთილმოწყობასა და გამწვანებას, საინჟინრო და სატრანსპორტო ინფრასტრუქტურით უზრუნველყოფას.

### 1.2 სამართლებრივი საფუძვლები და განცხადების რეკვიზიტები

განაშენიანების რეგულირების გეგმის/გეგმარებითი დავალების დამტკიცების სამართლებრივი საფუძვლები

- „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ საქართველოს ორგანული კანონი (68-ე მუხლის პირველი პუნქტის „კ“ ქვეპუნქტისა და 75-ე მუხლის „ე“ პუნქტის „ე.ბ“ ქვეპუნქტი);
- „სივრცითი მოწყობისა და ქალაქთმშენებლობითი საფუძვლების შესახებ“ საქართველოს კანონი;
- „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული წესები (მე-9 მუხლის მე-4 და მე-6 პუნქტები);
- “ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ

**ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს**

- თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს დაფუძნებისა და დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 24 იანვრის N52-1 დადგენილება;
5. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის განკარგულება N21.326.377(17/მარტი/2021წ.);
  6. წინასაპროექტო კვლევა;
  7. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის წერილი - N01210753261 (16.03.2021);
  8. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტის განვითარების სააგენტოს წერილი - N01210744102 (15.03.2021);
  9. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქონების მართვის სააგენტოს წერილი - N61-01210753776 (16/03/2021)
  10. სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს წერილი - N6/71381 (31.12.2020)

განაშენიანების რეგულირების გეგმის/გეგმარებითი დავალების შემუშავების სამართლებრივი საფუძვლები

**კანონი**

1. „სივრცითი მოწყობისა და ქალაქითმშენებლობითი საფუძვლების შესახებ“;
- განაშენიანების რეგულირების გეგმის/გეგმარებითი დავალების შემუშავების სახელმძღვანელო სამართლებრივი დოკუმენტები

**საქართველოს კონსტიტუცია**

**კანონი**

1. ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი;
2. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი;
3. „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“ საქართველოს კანონი;
4. „გარემოს დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონი;
5. „წყლის შესახებ“ საქართველოს კანონი;
6. საქართველოს კანონი „სივრცითი მოწყობისა და ქალაქითმშენებლობითი საფუძვლების შესახებ“;
7. „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი“;
8. „საავტომობილო გზები შესახებ“ საქართველოს კანონი.

**მთავრობის დადგენილება/მინისტრის ბრძანება**

1. „ტექნიკური რეგლამენტის - დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების მირითადი დებულებების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის N59 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტი - დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების მირითადი დებულებები;

**ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და  
ურბანული განვითარების ხაგუნტო**

2. „მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესისა და პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის N255 დადგენილება;
3. „ელექტრული ქსელების ხაზობრივი ნაგებობების დაცვის წესისა და მათი დაცვის ზონების დადგენის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 24 დეკემბრის N366 დადგენილება;
4. „ტექნიკური რეგლამენტის - „სამოქალაქო უსაფრთხოების საინჟინრო-ტექნიკური ღონისძიებების“ დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 14 იანვრის N51 დადგენილება;
5. „საქართველოს ტერიტორიაზე ტექნიკური ზედამხედველობისა და სამშენებლო სფეროში 1992 წლამდე მოქმედი ნორმების, წესების და ტექნიკური რეგულირების სხვა დოკუმენტების გამოყენების შესახებ“ საქართველოს კონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2011 წლის 18 ოქტომბრის N1-1/251 ბრძანება;
6. „მაგისტრალური მილსადენების (ნავთობის, ნავთობპროდუქტების, ნავთობის თანმდევი და ბუნებრივი გაზის და მათი ტრანსფორმაციის პროდუქტების) დაცვის წესისა და მათი დაცვის ზონების დადგენის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 24 დეკემბრის N365 დადგენილება;
7. „ქალაქ თბილისის, გარდაბნის მუნიციპალიტეტისა და მცხეთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული საზღვრების შეცვლის შესახებ“ საქართველოს პარლამენტის 2006 წლის 27 დეკემბრის N4173 დადგენილება;
8. „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისათვის სივრცის მოწყობისა და არქიტექტურული და გეგმარებითი ელემენტების ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 6 იანვრის N41 დადგენილება;
9. „ტექნიკური რეგლამენტის „შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების“ დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის N41 დადგენილება;
10. „მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის N239 დადგენილება;

### 1.3 ამოსავალი პირობები

#### განცხადების რეკვიზიტები

განცხადება	0120358710-67 (23.12.2020) 01210724-67 (13.03.2021)
განმცხადებელი	ტარიელ გიორგაძე
ობიექტის მისამართი/ადგილმდებარეობა	ქალაქი თბილისი, დიღმის სასწავლო საცდელი მუზეუმი
მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდები	N01.72.14.009.523 N01.72.14.009.443

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების საგუნდო

ფუნქციური დანიშნულება	მრავალფუნქციური კომპლექსი
ფუნქციური გამოყენება	საცხოვრებელი, კომერციული, სავაჭრო, საოფისე
ტერიტორიულ-სტრუქტურული ზონა	პერიფერიული ზონა (პზ) – დედაქალაქის ტერიტორიების ათვისების დაბალი ხარისხის ნიშნით გამოყოფილი ტერიტორიული ელემენტი;
განსაკუთრებული სამშენებლო რეგულირების ზონა	-
კულტურული მემკვიდრეობის და გარემოს დამცავი ზონა	-
სპეციალური რეჟიმები	-
არქეოლოგიური უბანი/ობიექტი	-
ნორმატიული ფასის ზონა	უბანი - საბურთალო ზონის ნომერი - 11 ნორმატიული ფასი - 17
გეგმარებითი შეზღუდვები	ტერიტორიის მცირედ ნაწილზე ვრცელდება სასაფლაოს შეზღუდვა. აშშ-ს საელჩოს შეზღუდვის 500 მეტრიან ბუფერულ ზონა

## 2 ტერიტორიის სამშენებლო განვითარების ზოგადი პირობები, მოთხოვნები და რეკომენდაციები

### 2.1 გასათვალისწინებელი ქალაქთმშენებლობითი სტანდარტები

- საქართველოს ეკონომიკის და მდგრადი განვითარების მინისტრის 2011 წლის 18 თებერვლის ბრძანება N1-1/251-ის მიხედვით მოქმედი ნორმა: СНиП 2.07.01-89 ქალაქთმშენებლობითი სტანდარტების და წესების შესახებ;
- სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური, 2016 წლის სარეკომენდაციო დოკუმენტი „განაშენიანების რეგულირების გეგმის სტანდარტი”.

**ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების საგენტო**

### 2.1.1 გასათვალისწინებელი ტექნიკური რეგლამენტები:

- „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისათვის სივრცის მოწყობისა და არქიტექტურული და გეგმარებითი ელემენტების ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 6 იანვრის N41 დადგენილება;
- „ტექნიკური რეგლამენტის „შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების“ დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის #41 დადგენილება ძალაში შევიდა 2017 წლის 01 იანვრიდან. ამ დადგენილების მოქმედება ვრცელდება კანონმდებლობის შესაბამისად განსაზღვრულ III, IV კლასს დაქვემდებარებული შენობებისა და ნაგებობების დაგეგმვარებაზე და შენებლობაზე;
- „სამშენებლო ნორმების და წესების – „სეისმომედუგი მშენებლობა“ (პნ 01.01-09) – დამტკიცების შესახებ“ საქართველოს კონფიდენციალური განვითარების მინისტრის 2009 წლის 7 ოქტომბრის №1-1/2284 ბრძანება.

### 2.2 ტერიტორიის დახასიათება

საპროექტო ტერიტორია მდებარეობს ქ. თბილისში, დიდი დიდმისა და გლდანის დამაკავშირებელი ხიდის (მინდელის ხიდის) მიმდებარედ, მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე. ტერიტორიას აღმოსავლეთიდან და ჩრდილოეთიდან საზღვრავს ბობ უოლშის ქუჩა. დასავლეთით ესაზღვრება კერძო, თვითმმართველის და სახელმწიფოს მიწის ნაკვეთები;

საკვლევ ტერიტორიაზე ურბანული თვალსაზრისით მკვეთრადაა ჩამოყალიბებული ჩარჩო გეგმა, რომლის მირთად დერძს წარმოადგენს ბობ უოლშის ქუჩა. ამ ქუჩის დასავლეთით ყალიბდება მრავალფუნქციური საცხოვრებელი კომპლექსები, ხოლო აღმოსავლეთით (მდ. მტკვრის მხარეს) გაშენებულია მულტიდისციპლინური სპორტულ-გამაჯანსაღებელი კომპლექსი ("ოლიმპიური ქალაქი"), რომელიც მოიცავს სხვადასხვა სპორტული დისციპლინის მოედნებს, დარბაზებსა და საცურაო აუზებს. გარდა "ოლიმპიური ქალაქისა", საკვლევ ტერიტორიაზე გვხვდება მრავალფუნქციური საცხოვრებელი კომპლექსი "მწვანე ალმასი", მჭიდრო საცხოვრებელი უბანი, რომლის სართულიანობა 9-დან 22-მდე მერყეობს. ტერიტორიის დასავლეთი ნაწილი რელიეფის სპეციფიკიდან გამომდინარე, ამ ეტაპზე აუთვისებელია, ხოლო სამხრეთ დასავლეთით მდებარეობს აშშ-ის საელჩო. საპროექტო არეალზე ვრცელდება სასაფლაოს შეზღუდვის არეალი. საპროექტ ტერიტორია ხვდება აშშ-ს საელჩოს შეზღუდვის 500 მეტრიან ბუფერულ ზონაში სადაც, სამშენებლოდ განვითარება შეზღუდულია შემდეგი სახით „გ) საელჩოს კომპლექსის გარე პერიმეტრზე 201 მეტრიდან 500 მეტრის რადიუსში არ უნდა იყოს დაშვებული შემდეგი:

საცხოვრებელი/კომერციული შენობები, რომლებსაც აქვთ 4 სართულზე მეტი და სიმაღლე აღემატება 17 მეტრს. (შენობებს უნდა ქონდეს ორფერდა სახურავი და ფანჯრები არ უნდა გადიოდეს საელჩოს მხარეს).

## **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ხეივ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების საგუნდო**

აღნიშნული შეზღუდვა გულისხმობს აშშ-ს საელჩოს ნული ნიშნულიდან, რომელიც შეადგენს (+426.39), 17 მეტრიანი შენობა-ნაგებობის განთავსებას; საპროექტო არეალზე ინტერაქტიული რუკის მიხედვით გადადის თვითმმართველის ბალანსსზე არსებული სანიაღვრე ქსელი (ს/კ01.02.459) ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის ნომერი 39-18-ის დადგენილებით საპროექტო არეალი ხვდება შემდეგი რიგის ქალაქებებით არელის A ზონაში ე.წ „დიდმის ჭალების“ არეალში. ბობ უოლშის ქუჩა აღმაშენებლის ხეივანს, ჯორჯ ბალანჩინის ქუჩით უკავშირდება. უშუალოდ საპროექტო ტერიტორიის მიმდებარედ ჩამოყალიბებულია გრუნტოვანი გზა, რომელიც პირდაპირ აკავშირებს ბობ უოლშის ქუჩას აღმაშენებლის ხეივანთან. აღნიშნული ქუჩებიდან ყველა მათგანი ორმხრივი მიმართულებისაა. საპროექტო არეალს საზოგადოებრივი სივრცე გააჩნია აღმოსავლეთის და ჩრდილოეთით არსებული ბ. უოლშის ქუჩიდან.

### **2.3 შენობა-ნაგებობის არქიტექტურულ-კომპოზიციური გადაწყვეტა და კავშირი მიმდებარე გარემოსთან**

- საპროექტო ობიექტები დაგეგმარდეს გრგ პროექტით განსაზღვრულ სექტორების საზღვრებში (მათი არსებობის შემთხვევაში);
- დაგეგმარების დროს მაქსიმალურად იქნას გათვალისწინებული მომიჯნავე ნაკვეთების განვითარების შესაძლებლობები და ინტერესები;
- დაგეგმარების პროცესში გათვალისწინებული იქნეს საქვეითე კავშირები მომიჯნავე კვარტლებთან;
- წარმოდგენილი იქნეს საპროექტო ტერიტორიის მიწის ნაკვეთების განაწილების გეგმა N14-39 დადგენილებით დამტკიცებული „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების“ მუხლი 26-ის (მიწის ნაკვეთის გამოჯვენა) თანახმად. რომლის შესაბამისად მომზადებული საკადასტრო გეგმები შემდგომში იქნება მშენებლობის ნებართვის გაცემის საფუძველი;

### **2.4 სივრცით მოცულობითი გადაწყვეტა; მიწის ნაკვეთზე არსებული შენობა-ნაგებობების დანგრევა და გადატანა, ან მათი სივრცით-გეგმარებითი მოწყობის შეცვლა**

- აღქმის წერტილები, დომინანტები და სილუეტი განისაზღვროს განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტით;
- განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის სტადიაზე მშენებლობის განხორციელების ეტაპებსა და რიგითობაში ასახეთ არსებული შენობა-ნაგებობების (არსებობის შემთხვევაში) დანგრევა და გადატანა.
- ინდივიდუალური პროექტის შეთანხმების სტადიაზე შესაბამისი პროექტის გათვალისწინებით მოხდეს ტერიტორიაზე არსებული შენობების დემონტაჟის პროექტის

**ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სხივ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების საგუნდო**

შეთანხმება.

## 2.5 მიწის ნაკვეთზე შენობა-ნაგებობათა განთავსების პირობები და მაქსიმალური სიმაღლეების განსაზღვრა

- მიწის ნაკვეთზე შენობა-ნაგებობათა განთავსების პირობები და მაქსიმალური სიმაღლეების განსაზღვრა რეგულირდება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის N14-39 დადგენილებით დამტკიცებული „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების“ V თავის თანახმად;
- ერთ მიწის ნაკვეთზე რამდენიმე შენობის, განთავსების პირობები და მაქსიმალური სიმაღლეების განსაზღვრა რეგულირდება საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის N59-ე დადგენილებით დამტკიცებული „ტექნიკური რეგლამენტის - დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებების დამტკიცების თაობაზე“ V თავის შესაბამისად;
- ერთ სამშენებლო მიწის ნაკვეთზე რამდენიმე შენობის განთავსება და მათი მაქსიმალური სიმაღლეების განსაზღვრა მოხდეს საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის N59-ე დადგენილების, 28-ე მუხლის შესაბამისად;
- ერთ სამშენებლო მიწის ნაკვეთზე რამდენიმე სხვადასხვა შენობის განთავსების შემთხვევაში უნდა მოხდეს წარმოსახვითი სამეზობლო საზღვრ(ებ)ის დადგენა;
- მაქსიმალური სიმაღლის განსაზღვრა მოხდეს საზოგადოებრივი საზღვრ(ებ)ის მხრიდან, ხოლო მისი არარსებობის შემთხვევაში მოხდეს ყველა სამეზობლო საზღვრ(ებ)იდან;
- შენობისათვის სიმაღლის მაქსიმალური სიმაღლის გამოთვლის დროს, გათვალისწინებულ იქნას 14-39 დადგენილების 31-ე მუხლის მე-5 პუნქტი. რომელიც გულისხმობს L-ის რიცხვითი მნიშვნელობის გამოთვლას შენობის საანგარიშო ზედაპირის გრუნტთან შეხების ხაზიდან ჭრის სიგანის ნახევრის წარმოსახვითი ვერტიკალური სიბტყის მიმართ უმოკლესი მანძილით;
- იმ შენობებისათვის, რომლებსაც არ უდგინდებათ საზოგადოებრივი სივრცე, სიმაღლის მნიშვნელობის განსაზღვრა უნდა მოხდეს სამეზობლო საზღვრებიდან, ხოლო თუ L-ის მნიშვნელობა შენობის საანგარიშო ზედაპირის მიმართ განსხვავებულია, H უნდა გამოითვალოს L-ის უმცირესი მნიშვნელობიდან;
- საპროექტო არქალს საზოგადოებრივი სივრცე გააჩნია აღმოსავლეთით და ჩრდილოეთით არსებული ბ. უოლშის ჭრიდან.

**მაქსიმალურად დასაშვები სიმაღლე: განისაზღვრება ფორმულით  $H=L/Y$ , სადაც:**

H - განაშენიანების სიმაღლის რეგულირების ხაზის ნიშნულს;

L წარმოადგენს დაშორებას შენობასა და საზოგადოებრივ სივრცეს ან/და სამეზობლო საზღვარს შორის.

Y = წარმოადგენს კოეფიციენტს, რომლის მნიშვნელობაა:

ა) 0.35 – დასახლებათა საზოგადოებრივ-საქმიანი ზონებისათვის;

ბ) 0.25 – სამრეწველო ზონებისათვის;

გ) 0.4 ყველა სხვა ზონისათვის.

**ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ხსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების საგუნდო**

2.6 მოთხოვნები იმ ფიზიკური და იურიდიული პირების უფლებების დაცვაზე, რომელთა ინტერესებსაც ეწება ტერიტორიის სამშენებლო განვითარება (საკადასტრო ერთულების გაერთიანება-შერწყმა ახალი სერვიტუტების წარმოქმნა, ინსოლაცია, ბუნებრივი განათება, ჩაუხედავობა და სხვა)

- ტერიტორიის სამშენებლო განვითარება განისაზღვროს ტერიტორიის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტით, ქვეყანაში და დედაქალაქში დადგენილი სამართლებლივ-ნორმატიული მოთხოვნების საფუძველზე;
- დაცული იქნეს მიწის ნაკვეთის საზღვარზე (მიჯნაზე) სამშენებლო წესებისა და ნორმების მოთხოვნები;
- შენობების განთავსების ადგილები განისაზღვროს საინჟინრო გეოლოგიური დასკვნების შესაბამისად;
- გრგ-ს პროექტის სტადიაზე წარმოდგენილი იქნეს მესაკუთრ(ებ)ის ნოტარიულად დამოწმებული თანხმობა;
- განაშენიანების რეგულირების გეგმის დასამტკიცებლად მომართვა უნდა განახორციელოს მიწის ნაკვეთის მესაკუთრეებმა ან მინდობილმა პირმა, შესაბამისი ფორმით დამოწმებული თანხმობით;
- საჭიროების შემთხვევაში, წარმოდგენილი იქნეს განახლებული საკადასტრო გეგმები და ამონაწერები საჯარო რეესტრიდან;
- საჭიროების შემთხვევაში წარმოდგენილი იქნეს იპოთეკარის შესაბამისი ფორმით დამოწმებული თანხმობა;
- საჭიროების შემთხვევაში დაცული იქნეს არსებული საინჟინრო კომუნიკაციებიდან და მათი ფუნქციონირებისათვის განკუთვნილი ნაგებობებიდან საპროექტო კომპლექსის განთავსების ნორმები, გრგ შემდგომ სტადიაზე წარმოდგენილი იქნეს თანხმობა შესაბამისი სამსახურიდან;
- მიწის ნაკვეთების იმ მესაკუთრეების თანხმობები, რომელთა საკუთრებაზე გაივლის დაგეგმილი საგზაო ინფრასტრუქტურა;
- გრგ-ს პროექტის დამტკიცების სტადიაზე წარმოდგენილი იქნეს გრგ-ს პროექტში შემავალი მიწის ნაკვეთის საკუთრების დამადასტურებელი მოწმობა - ამონაწერ(ებ)ი საჯარო რეესტრიდან; იმ შემთხვევაში, თუ მესაკუთრე შპს-ა, მაშინ ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან და პასუხისმგებელი პირის/პირების ნოტარიულად დამოწმებული თანხმობა;

**ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო**

**2.7 ტერიტორიაზე არსებული მწვანე ტერიტორიის კეთილმოწყობა და გარემოს დაცვის პირობების განსაზღვრა**

- მაქსიმალურად შენარჩუნებული იქნეს ტერიტორიაზე არსებული ხე-ნარგავები, ხოლო მათი მოჭრის ან გადარგვის აუცილებლობის შემთხვევაში საკითხი შეთანხმდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურთან;
- წარმოდგენილი იქნეს საპროექტო ტერიტორიის კეთილმოწყობის პროექტი და გამწვანების დენდროლოგიური პროექტი;
- განაშენიანების რეგულირების გეგმის დამუშავებისას გათვალისწინებული იქნეს გარემოსდაცვითი და სანიტარული კანონმდებლობის მოთხოვნები;
- მოწყოს ლიფტები და პანდუსები უნარშეზღუდული პირების ეტლების გადასაადგილებლად;
- გამოიყოს ტერიტორიები ნაგვის ყუთების განსათავსებლად, შესაბამისი ტექნიკური სპეციფიკის გათვალისწინებით, რომელიც უნდა დაზუსტდეს განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტით და შეთანხმებულ იქნას შპს „თბილსერვის ჯგუფთან“;

**2.8 მშენებლობის ნებართვის გაცემისა და სანებართვო პირობების შესრულების საჯაროობა**

- ნებართვის გაცემის თითოეული სტადიაზე განცხადების შეტანის მომენტისათვის უზრუნველყოფილი იქნეს შესაბამის ობიექტზე (მენობა-ნაგებობაზე), თვალსაჩინო ადგილას საინფორმაციო დაფის განთავსება. სამშენებლო დოკუმენტში შეტანილი ნებისმიერი ცვლილება, რომელიც ცვლის საინფორმაციო დაფაზე განთავსებული ინფორმაციის არსს, უნდა განთავსდეს საინფორმაციო დაფაზე. საინფორმაციო დაფის მინიმალური გაბარიტია A2 ზომის ფორმატი. საინფორმაციო დაფა უნდა არსებობდეს სამშენებლო სამუშაოთა წარმოების მთელ პერიოდში და მოიხსნას შენობა-ნაგებობის მშენებლობის დასრულების ან/და ექსპლუატაციაში მიღების შემდეგ. დაუშვებელია მისი სარეკლამო მიზნებისათვის გამოყენება;
- საპროექტო ტერიტორიის დაგეგმვის პროცესში განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს საჯაროობის უზრუნველყოფას („საქართველოს კანონი სივრცითი მოწყობისა და ქალაქითმშენებლობის საფუძვლების შესახებ“, მუხლი 6; საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის №59 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტი - „დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების მირითადი დებულებები“ მუხლი 24) და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის N14-39 დადგენილებით დამტკიცებული „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების“ მუხლი 9, პუნქტი 17-ის შესაბამისად.

**ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების საგენტო**

## 2.9 ტერიტორიის და მისი გეგმარებითი არეალის საინჟინრო-კომუნალური, სატრანსპორტო და სოციალური ინფრასტრუქტურით უზრუნველყოფა

- განისაზღვროს ტერიტორიის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტით;
- დაგეგმილი განაშენიანება უზრუნველყოფილი იქნება მოქმედი რეგლამენტების მიხედვით დაგეგმარებული საინჟინრო, სატრანსპორტო, სოციალური და სხვა სახის ინფრასტრუქტურით;
- დაცული იქნება არსებული საინჟინრო კომუნიკაციებიდან და მათი ფუნქციონირებისათვის განკუთვნილი ნაგებობებიდან საპროექტო შენობების განთავსების ნორმები, ხოლო მათი გატანის აუცილებლობის საკითხი შეთანხმდეს შესაბამის მფლობელებთან;
- გრგ-ს პროექტით განისაზღვროს სპეციალური ადგილები საყოფაცხოვრებო და სანიაღვრე წყალარინების მომსახურების უზრუნველსაყოფად წარმოდგენილი იქნება შესაბამისი უწყებებიდან (თანდართული ოფიციალური წერილით - მხოლოდ საპროექტო ტერიტორიისთვის), სადაც დატანილი იქნება მათი ტრასა შესაბამისი პარამეტრების ცხრილით და განვითარების პოტენციალით, ძირითადი და ლოკალური ხაზობრივი ნაგებობები შესაბამისი კატეგორიის ხაზობრივი ნაგებობა და დაცვის ზოლი, პარამეტრების ცხრილი;
- მიწის ნაკვეთის გამიჯვნისას, ცალკეული ნაგებობებისთვის გათვალისწინებული იქნება თითოეული მიწის ნაკვეთის საინჟინრო და სატრანსპორტო ინფრასტრუქტურით სათანადოდ უზრუნველყოფა, რისთვისაც მინიმალური პირობაა მშენებლობა დამთავრებულ ობიექტთან მინიმუმ ერთი მისასვლელის არსებობა, მათ შორის სერვიტუტის გამოყენებით;

## 3 ტერიტორიის სამშენებლო განვითარების პარამეტრები;

### 3.1 საპროექტო ტერიტორიის არეალი

საპროექტო მიწის ნაკვეთის ფართობი წარმოადგენს 12 756 კვ.მ-ს. (კერძო მიწის ნაკვეთის ჯამური ფართი - 11 656 კვ.მ. ხოლო სსიპ ქონების მართვის სააგენტოს მფლობელობაში - 1 100 კვ.მ.)

### 3.2 არსებული ქალაქთშენებლობითი პარამეტრები

განაცხადის წარმოდგენის და განხილვის პერიოდში მოქმედი „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებით დამტკიცებული გენერალური გეგმის მიხედვით საპროექტო ტერიტორიაზე დადგენილი იყო

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო

ფუნქციური ზონები: საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2 (სსზ-2), სარეკრეაციო ზონა 2 (რზ-2), სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1)

**საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2 (სსზ-2)** - მაღალი ინტენსივობის შერეული საზოგადოებრივ-საქმიანი ქვეზონა, რომელიც მოიცავს საქალაქო განაშენიანებული ტერიტორიების საზღვრებში (როგორც წესი გა-ზე) არსებულ/დაგეგმილ საზოგადოებრივი გამოყენების (და მის დამხმარე) ტერიტორიებს; განაშენიანების დომინირებულ სახეობას შეადგენს ობიექტები საზოგადოებრივი დანიშნულების ფუნქციებით; შესაძლებელია საზოგადოებრივ-საქმიანი ზონის ფუნქციონირების უზრუნველყოფი საცხოვრებელი შენობების/სამყოფების, როგორც არადომინირებული სახეობის არსებობა, არაუმტებელი შენობის საერთო ფართის 25%-ის;

განაშენიანების რეგულირების პარამეტრები			
3-1	0,5 * / 0,7	კოეფიციენტი	
3-2	4,6	კოეფიციენტი	
3-3	0,2/0,3*	კოეფიციენტი	
საცხოვრებელი სიმჭიდროვე	-	ერთეული/ჰა	
მიწის ნაკვეთის	მინიმალური ფართობი	700	კვ.მ
ფართობი	მინიმალური სიგანე	20	მეტრი
და ზომები	მინიმალური სიღრმე	30	მეტრი
შენობა-ნეგებობის მაქსიმალური სიმაღლე	-	მეტრი	
<b>შენიშვნა</b>	** მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლისთვის ან მრავალბინიანი საცხოვრებელი ფუნქციის შემცველი მრავალფუნქციური შენობა-ნაგებობისთვის, სადაც საცხოვრებრლი ფუნქცია აღემატება 25 %-ს.		

**სარეკრეაციო ზონა 2 (რზ-2)** — სარეკრეაციო ქვეზონა, რომელიც მოიცავს თბილისის განაშენიანებული ტერიტორიების საზღვრებში არსებულ/დაგეგმილ გამწვანებულ ტერიტორიებს: პარკს, ღია სათამაშო მოედნებს და მსგავსი ტიპის სხვა ტერიტორიებს; დაუშვებელია ყოველგვარი მშენებლობა, გარდა ამ წესების დანართი 1-ით განსაზღვრული მირითადი და სპეციალური (ზონალური) შეთანხმებით დაშვებული სახეობებისა;

განაშენიანების რეგულირების პარამეტრები			
3-1	0,2	კოეფიციენტი	
3-2	-	კოეფიციენტი	
3-3	0,8	კოეფიციენტი	
საცხოვრებელი სიმჭიდროვე	10/1**	ერთეული/ჰა	
მიწის ნაკვეთის	მინიმალური ფართობი	600*	კვ.მ
ფართობი	მინიმალური სიგანე	-	მეტრი
და ზომები	მინიმალური სიღრმე	-	მეტრი
შენობა-ნეგებობის მაქსიმალური სიმაღლე	12***	მეტრი	

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო

<b>შენიშვნა</b>	<p>- * 2019 წლის 1 აპრილიდან დაყოფის (გამოჯვნის) შედეგად წარმოშობილი მიწის ნაკვეთზე სახტეუმროსა და ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლის მშენებლობისათვის</p> <p>** ინდივიდუალური (ერთბინიანი) საცხოვრებელი სახლებისთვის განაშენიანების რეგულირების გეგმის ფარგლებში</p> <p>*** ძირითადი დასაშვები და სპეციალური (ზონალური) შეთანხმებით დაშვებული შენობებისათვის</p>
-----------------	------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------

**სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1)** — სატრანსპორტო ქვეზონა, რომელიც მოიცავს თბილისის განაშენიანებული ტერიტორიების საზღვრებში ან/და საზღვრებს გარეთ არსებულ/დაგეგმილ ტრანსპორტის/ქვეითის გადაადგილებისთვის განკუთვნილი გზებს/ქუჩებს, მოედნებს, გზატკეცილებს, ხიდებს, გზაგამტარებს, სარკინიგზო ხაზებს (გასხვისების ზოლის ჩათვლით), მეტროპოლიტენის მიწისზედა ხაზებს, ტრამვაის ხაზებს, ტროტუარებს, ტროტუარის მიმდებარე გაზონს, ზღუდარებს, ქუჩის მომიჯვავე გამწვანებულ ზოლებს, უსაფრთხოების კუნძულებს, გამწვანებულ გზაგამყოფებს, მიწისქვეშა ნაგებობებს/შენობა-ნაგებობებს (მათ შორის მიწისქვეშა ავტოსადგომებს), ასევე თბილისის განაშენიანებული ტერიტორიების საზღვრებში ან/და საზღვრებს გარეთ, სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის უძრავ ქონებაზე „საგზაო მოძრაობის შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე განსაზღვრულ პარკირების ადგილებს;

განაშენიანების რეგულირების პარამეტრები			
3-1	-	კოეფიციენტი	
3-2	-	კოეფიციენტი	
3-3	0,1	კოეფიციენტი	
საცხოვრებელი სიმჭიდროვე	-	ერთეული/ჰა	
მიწის ნაკვეთის მინიმალური ფართობი	-	კვ.მ	
ფართობი მინიმალური სიგანე	-	მეტრი	
და ზომები მინიმალური სიღრმე	-	მეტრი	
შენობა-ნეგებობის მაქსიმალური სიმაღლე	-	მეტრი	
<b>შენიშვნა</b>	<p>* კოეფიციენტი ეხება: ტროტუარის მიმდებარე გაზონებს, ქუჩის მომიჯვავე გამწვანებულ ზოლებს, გამწვანებულ გზაგამყოფებს და მსგავს საფრთხეების და მათი გათვალისწინება სავალდებულოა ქუჩების, გზების, გზატკეცილების მშენებლობისას/რეკონსტრუქციისას, სადაც ეს ტექნიკურად არის შესაძლებელი</p>		

**ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების საგენტო**

### 3.3 დასაშვები ფუნქციური ზონის სახეობები

საპროექტო ტერიტორიაზე დასაგეგმარებელი ობიექტების ფუნქციები უნდა განისაზღვროს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის N14-39 დადგენილებით დამტკიცებული „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების“ შესაბამისად.

**საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2 (სსზ-2)** – მაღალი ინტენსივობის შერეული საზოგადოებრივ-საქმიანი ქედებინა, რომელიც მოიცავს საქალაქო განაშენიანებული ტერიტორიების საზღვრები (როგორც წესი გვ-ზე) არსებულ/დაგეგმილ საზოგადოებრივი გამოყენების (და მის დამხმარე) ტერიტორიებს; განაშენიანების დომინირებულ სახეობას შეადგენს ობიექტები საზოგადოებრივი დანიშნულების ფუნქციებით; შესაძლებელია საზოგადოებრივ-საქმიანი ზონის ფუნქციონირების უზრუნველყოფი საცხოვრებელი შენობების/სამყოფების, როგორც არადომინირებული სახეობის არსებობა, არაუმტებელი შენობის საერთო ფართის 25%-ის;

განაშენიანების რეგულირების პარამეტრები			
კ-1	0,5 * / 0,7	კოეფიციენტი	
კ-2	4,6	კოეფიციენტი	
კ-3	0,2/0,3*	კოეფიციენტი	
საცხოვრებელი სიმჭიდროვე			ერთეული/ჰა
მიწის ნაკვეთის	მინიმალური ფართობი	700	კვ.მ
ფართობი	მინიმალური სიგანე	20	მეტრი
და ზომები	მინიმალური სიღრმე	30	მეტრი
შენობა-ნეგებობის მაქსიმალური სიმაღლე			მეტრი
<b>შენიშვნა</b>			
* * მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლისთვის ან მრავალბინიანი საცხოვრებელი ფუნქციის შემცველი მრავალფუნქციური შენობა-ნაგებობისთვის, სადაც საცხოვრებრლი ფუნქცია აღემატება 25 %-ს.			

საპროექტო წინადადებით განსაზღვრული კოეფიციენტებია ს/კN01.72.14.009.523-ისთვის

კ1=0,5 (5655კვ.მ)

მაქსიმუმ კ2=3,5 (40 500 კვ.მ);

კ3=0,3 (3548 კვ.მ)

ხოლო სსიპ თვითმმართველის ბალანსზე არსებული მიწის ნაკვეთისთვის (ს/კN01.72.14.009.443 ) განვითარება დაზუსტდება გრგ-ს პროექტის შეთანხმების ეტაპზე;

**ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სხივ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო**

### 3.4 განაშენიანების რეგულირების ხაზები

- ა) წითელი ხაზები შენობათა განთავსებისთვის სავალდებულო ინსტრუმენტია და უნდა პასუხობდეს გეგმარებით დავალებას;
- ბ) განაშენიანების სავალდებულო ხაზები (ლურჯი ხაზები) განისაზღვროს გრგ-ს პროექტით. ლურჯი ხაზები შენობათა განთავსებისთვის არასავალდებულო ინსტრუმენტია და უნდა პასუხობდეს გეგმარებით დავალებას, ან გრგ-ს მიზნებს.

## 4 განაშენიანების რეგულირების გეგმის (შემდეგში - გრგ) შესათანხმებლად წარმოსადგენი დოკუმენტაციის ჩამონათვალი

განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის ალბომი მოიცავს:

1. ალბომის სატიტულო მოთხოვნები: (ყდა, სატიტულო გვერდ(ები), საკვალიფიკაციო გვერდი; სარჩევი);
2. სამართლებრივი აქტი (განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების დამტკიცების ბრძანება ან დადგენილება ან განკარგულება);
3. გეგმარებითი დავალება;
4. გეგმარებით დავალებაში ცვლილება (არსებობის შემთხვევაში);
5. გამოყენებული შემოკლებები (გამოყენებული ტერმინების შემოკლებები და მათი გაშიფრვა);
6. გამოყენებული პირობითი აღნიშვნები (რუკებზე მოცემული პირობითი სიმბოლოების გრაფიკული და ტექსტური გაშიფრვა; ზონირების ნაწილში მგგ დადგენილი ფერები);
7. გრაფიკული ნაწილის ნუსხა (ცხრილის სახით გეგმების, რუკების, სქემების ან/და ილუსტრაციების ჩამონათვალი, შესაბამისი აღნიშვნებით ან/და ნუმერაციით);
8. დაგეგმვის მიზანი და ამოცანები (რა სახის და შინაარსის გარემოს ფორმირებას ემსახურება გრგ; რა გარემოებები იქნა გათვალისწინებული გადაწყვეტებები და რა გამოწვევებს პასუხობს გრგ);
9. სივრცით ტერიტორიული განვითარების რეგლამენტები (ზონაში უძრავი ქონების ნებადართული გამოყენების სახეობები; შესაბამისი განაშენიანების რეგულირების პარამეტრები; განსხვავებული პარამეტრები ან/და გამოყენების სახეობები; შენობათა განთავსების განსხვავებული წესი);
10. დაგეგმვის ეფექტურობის (ხეირიანობის) შეფასება (swot) ანალიზი (დაგეგმვის შედეგად ხარჯების გადანაწილების პირობები და მათი სამომავლო შედეგები (ეფექტი); პროექტის განხორციელების სარგებლიანობა კერძო და საჯარო ინტერესების ჭრილში);
11. მშენებლობის განხორციელების ეტაპები და რიგითობა;
12. გეგმარებითი დავალების საწყისი საკადასტრო მონაცემები (საკადასტრო გეგმები);
13. სიტუაციური გეგმა;
14. ტოპოგრაფიული გეგმა (1:5000-დან 1:10000-მდე);
15. საპროექტო ტერიტორიის საზღვრების რუკა;
16. ფოტოსურათები (თარიღის მითითებით);

**ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სხივ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და  
ურბანული განვითარების საგენტო**

17. ფოტოფიქსაციის სქემა;
18. ტექნოგენური საფრთხეების ზონირება;
19. ბუნებრივი საფრთხეების ზონირება;
20. სამშენებლო და არასამშენებლო ტერიტორიების ზონირება;
21. გეგმარების შეზღუდვის ზონირება;
22. ტერიტორიული-სტრუქტურული ზონირება(არსებობის შემთხვევაში);
23. ფუნქციური ზონირება;
24. გეგმარების შემსღვევაზე კონკრეტული ზონირება;
25. ტერიტორიის სტრუქტურული კონკრეტული ზონირება;
26. მიწის ნაკვეთების განაწილების გეგმა;
27. დადგენილი ფუნქციური ზონების და გამოყენების სახეობების (ობიექტები და ფუნქციები) გეგმა;
28. მიწის ნაკვეთის კ-1, კ-2, კ-3 დადგენის გეგმა;
29. შენობა-ნაგებობების მაქსიმალური სიმაღლის ან/და სართულიანობის დადგენის გეგმა;
30. მიწის ნაკვეთის მინიმალური ფართობის და ზომების დადგენის გეგმა;
31. მიწის ნაკვეთებზე შენობათა განთავსების გეგმა;
32. ავტომანქანების სადგომი ადგილების რაოდენობის დადგენის გეგმა;
33. მიწის ნაკვეთების დეტალური რეგლამენტების დოკუმენტი;
34. ავტოსადგომების განაწილების გეგმა;
35. საპროექტო ტერიტორიის მოძრაობის ორგანიზების სქემა მიმდებარე ქუჩებთან კავშირის ჩვენებით და პარამეტრების (მათ შორის ტროტუარის) მითითებით;
36. მიწის ნაკვეთების იმ მესაკუთრეების თანხმობები, რომელთა საკუთრებაზეც გაივლის დაგეგმილი საგზაო ინფრასტრუქტურა;
37. წყალსადენის და საყოფაცხოვრებო წყალარინების ძირითადი და ლოკალური ქსელის გეგმა;
38. წარმოდგენილი იქნეს საპროექტო ტერიტორიაზე სახანძრო ჰიდრანტების მოწყობის გეგმა;
39. ელექტრომიმორაგების ძირითადი და ლოკალური ქსელის გეგმა;
40. გარე განათების ქსელის სქემატური ნახაზი;
41. ბუნებრივი აირით მომარაგების ძირითადი და ლოკალური ქსელის რუკა;
42. სანიაღვრე წყალარინების ძირითადი და ლოკალური ქსელის გეგმა;
43. გამწვანების დენდროლოგიური გეგმა;
44. ვერტიკალური გეგმარება;
45. ვიზუალიზაცია;
46. ზოგადი საინჟინრო გეოლოგიური დასკვნა;
47. საჯარო რეესტრის ამონაწერები და თანხმობის აქტები;
48. არქეოლოგიური კვლევის ცენტრის დასკვნა (საჭიროების შემთხვევაში).

## 5 შენიშვნები:

1. გრგ-ს პროექტის შემადგენლობაში წარმოდგენილი იქნეს ტერიტორიის არსებული მდგომარეობის ამსახველი წინასაპროექტო კვლევის მონაცემები ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის

**ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო**

ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების „წესების“ მე-2 თავის 8-ე მუხლისა და ამ გეგმარებითი დავალების მოთხოვნების შეასაბამისად;

2. განაშენიანების რეგულირების გეგმის დასამტკიცებლად წარმოსადგენი დოკუმენტაციის მასალები AutoCAD ან ArchiCAD, PDF ფორმატში ატვირთული იქნეს პორტალზე <https://ms.gov.ge> განაშენიანების რეგულირების გეგმის ელექტრონული განცხადების კატეგორიაში, ნომერიალურა: განაშენიანების რეგულირების გეგმა. საკორდინატო სისტემა უნდა შეესაბამებოდეს WGS 1984 UTM Zone 38N-ს.
3. გრაფიკული ნაწილის მასშტაბები უნდა შეესაბამებოდეს გეგმარებითი დავალებით დადგენილს, რაც შეიძლება დაზუსტდეს ან შეიცვალოს დაგეგმვის საჭიროების მიხედვით;
4. გრაფიკული ნაწილის მასშტაბის ძირითადი დიაპაზონი არის 1:500-1:5000;
5. გრგ ნახაზებზე გამოიყენება რიცხობრივი მასშტაბი. სურვილისამებრ შესაძლებელია დამატებით ხაზოვანი მასშტაბის გამოყენება.

დამატებითი ინფორმაცია:

საპროექტო ტერიტორიის განაშენიანების რეგულირების გეგმის დამუშავებული პროექტი და საპროექტო დოკუმენტაცია წარადგინოს დამკვეთმა ან დამპროექტებელმა (დამკვეთის შესაბამისი ფორმით დამოწმებული თანხმობით) ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოში.

წინამდებარე გეგმარებითი დავალება ძალაშია მისი გაცემის თარიღიდან სამი წლის განმავლობაში.



**ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკარო  
სამართლის იურიდიული პირი - ქალაქ თბილისის  
მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული  
განვითარების სააგენტო**



წერილის ნომერი: **01210744102**

თარიღი: **15/03/2021**

ვიზი: 7257

გადამოწმეთ: [document.municipal.gov.ge](http://document.municipal.gov.ge)

2021 წლის 13 მარტის N 01210724-67 განცხადების პასუხად, რომელიც შეეხება ქალაქ თბილისში, დიღმის სახალის საცდელი მეურნეობის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: 01.72.14.009.523, 01.72.14.009.443) მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების დამტკიცებას, გაცნობებთ:

სსიპ - ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს საგზაო მოძრაობის დაგეგმვის სამსახურმა შეისწავლა წარმოდგენილი წინასაპროექტო კვლევა და ტრანსპორტზე ზეგავლენის შეფასების ანგარიში. თავისი კომპეტენციის ფარგლებში წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და ფაქტობრივი მდგომარეობის გათვალისწინების საფუძველზე გააანალიზა მოსალოდნელი ზეგავლენა.

საპროექტო ტრიტორიის მიმდებარედ საზოგადოებრივი ტრანსპორტის განვითარების მისამართის ფარგლებშია და გამარტინირებული რეზერვი. ახალი სავტობუსები ქსელის მიმდინარე კვლევის ფარგლებში ქართულ - ამერიკული მეგობრობის გამზირი და ჯ. ბალამზინის ქუჩა მოიაზრება, როგორც ტრანზიტული საჯარო ტრანსპორტის დერეფანი (კარგად შეკავშირებული, ხშირი და მაღალი მოცულობის ქსელი). ამავე დროს, ახალი სავტობუსები ქსელის მიმდინარე კვლევის ფარგლებში მიმდებარე ქუჩებზე განახლდება და გაუმჯობესდება მეორეული საქალაქო და საუბრო შემცრები საჩ. ტრანსპორტის ქსელი. აღნიშნული მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს საზოგადოებრივი ტრანსპორტის მომსახურების დონეს და მომავალში შესაძლებელს გახდის მოდალურ განაწილებაში საზოგადოებრივი ტრანსპორტის მოხმარების წილის გაზრდას.

საქვეითე ინფრასტრუქტურის მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია. საპროექტო ტერიტორიის მიმდებარებ გზის უმეტეს ნაწილს გაანწია საქვეითე ტროტუარი, თუმცა რამდენიმე მცირე ნაწილში საჭიროებს განახლება/რეაბილიტაციას. ადსაბიშნავია, რომ საქვეითე ინფრასტრუქტურის მოწესრიგება მერის სატრანსპორტო პოლიტიკის მნიშვნელოვანი ნაწილია. წარმოდგენილი წინასაპროექტო კვლევა და რეგომინდაციები განხილული და გათვალისწინებული იქნება სამომავლით, მიმდებარე ტერიტორიების განახლება/რეაბილიტაციის, ასევე საზოგადოებრივი ტრანსპორტის მომსახურების გაუმჯობესებისთვის შემუშავებულ პროექტებში.

საზოგადოებრივი ტრანსპორტისა და საქვეითე ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების შემდგომ მოსალოდნელია არსებული რამე შეფერხებებისა და დატვირთულობების საგრძნობლად განმუშტვა. დაგეგმილი პროექტი განხილულების შემდგომ ვერ მოახდენს არსებით უარყოფით ზეგავლენას საგზაო ინფრასტრუქტურაზე.

დამატებით გაცნობებთ, განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცების ეტაპზე წარმოსადგენი იქნება სსიპ-ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოსა და საპატრულო პოლიციის მთავარ სამმართველოსთან შეთანხმებული, მოძრაობის ორგანიზების ქვემები, რომლის შიდა გეგმარებამ (არსებობის შემთხვევაში) და საკადასტრო საზღვრის მიმდებარებ გაოვალისწინებული იქნება მინიმუმ 2,5 მეტრი სიგანის ტროტუარები. საგზაო მოძრაობის დაგეგმვის სამსახური მიზანშეწონილად მიიჩნევს, რომ საკადასტრო საზღვრის პერიმეტრზე არ/და შიდა გეგმარებაში სამანქანო გზის მოწყობის შემთხვევაში გასათვალისწინებული ტროტუარებისგან დამოუკიდებლად ორმხრივი გზა შეადგენდეს არანაკლებ 6 მეტრს. ხოლო, ცალმხრივი გზა - არანაკლებ 3,5 მეტრს. აღნიშნული გადამოწმდება და დაზუსტდება სქემის შეთანხმების ეტაპზე.

სსიპ - ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს საგზაო მოძრაობის დაგეგმვის სამსახური არ არის წარმოდგენილი განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების დამტკიცების წინააღმდეგი.

გამოყენებულია კვალიფიციური  
ელექტრონული ხელმოწერა/ელექტრონული შტამპი





# ესტონეთის მუნიციპალიტეტის მერის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური



წერილის ნომერი: 01210753261  
თარიღი: 16/03/2021  
პინი: 8440

გადამოწმეთ: [document.municipal.gov.ge](http://document.municipal.gov.ge)

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურმა, კომპეტენციის ფარგლებში, განიხილა მიმდინარე წლის 13 მარტის №01210724-67 განცხადება და დამატებით, შეტყობინების სახით წარმოდგენილი დოკუმენტაცია (№44210752-67), რომელიც ეხება ქალაქ თბილისში, დიდმის სასწავლო საცდელი მეურნეობის ტერიტორიაზე არსებულ მიწის ნაკვეთებზე (ს/კ: 01.72.14.009.523, 01.72.14.009.443; ფუნქციური ზონა: სსზ-2, რზ-2, ტზ-1; გამწვანებული ტერიტორიების რუკა: ნაწილობრივ რზ-2) მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების დამტკიცებას.

„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების „შესახებ““ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილების მე-8 მუხლის მე-3 პუნქტით განსაზღვრული მოთხოვნებიდან, წარმოდგენილი დოკუმენტაცია მოიცავს 01.72.14.009.523 საკადასტრო ერთეულზე დაგემილი გამწვანების შესახებ ზოგად მონაცემებს, გამწვანების კოეფიციენტის (კ-3) საანგარიშო ფართობის მითითებით (3 548 მ<sup>2</sup>) და საპროექტო ტერიტორიაზე არსებული მწვანე ნარგავების ხარისხობრივი შეფასების შესახებ გაცემულ საექსპერტო დასკვნას, რომლის შესაბამისად საპროექტო წინადადება ითვალისწინებს 5 ძირი მწვანე ნარგავის მოჭრას (ერთი ძირი ძებვი: №1; ოთხი ძირი ძებვი: №2-5).

რაც შეეხება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბალანსზე არსებულ 01.72.14.009.443 საკადასტრო ერთეულს, სსპ ქონების მართვის სააგენტოს მიერ აღნიშნული მიწის ნაკვეთის საპროექტო არეალში შეყვანის საკითხზე დადებითი გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, განმცხადებელმა, განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცების ეტაპზე უნდა წარმოადგინოს სარეგისტრირებული ტერიტორიების სისტემის ამსახველ გეგმა, გამწვანების დეტალური (დენდროლოგიური) პროექტის ჩათვლით, რომელშიც ხე-ნარგავების გაშენების არეალებთან ერთად ასახული უნდა იყოს კ-3 კოეფიციენტის ათვისების საანგარიშო ფართობი და დეტალური ტაქსონომია (საპროექტოდ დასარგავი ხე-ნარგავის სახეობა, რაოდენობა, სიმაღლე და გარშემოწერილობა, შესაბამის მასშტაბში, პირობითი აღნიშვნებით).

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამსახური კომპეტენციის ფარგლებში თანახმად დამტკიცდეს მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალება.

დამატებით, გამწვანების დეტალურ პროექტთან დაკავშირებით, რომელიც უნდა დამუშავდეს განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცების ეტაპზე საპროექტო ტერიტორიისთვის, გაცნობებთ, რომ შერეული, მაღალპროდუქტული კორომების ჩამოყალიბება ქალაქის ეკოლოგიური მდგრამარეობის გაუმჯობესების საგადაზისებრო წინაპირობა. აღნიშნულის გათვალისწინებით, სამსახურს მიზანშეწინილად მიაჩნია გამწვანების (დენდროლოგიური) პროექტის ფარგლებში, ერთი სახეობის მწვანე ნარგავის ნაცვლად, ტერიტორია გამწვანდეს შერეული ტიპის წიწვოვანი და ფოთლოვანი ხე-მცენარეებით.

მაღალპროდუქტული კორომების შექმნისა და ეკოლოგიური მდგრამარეობის გაუმჯობესების მიზნით, სამსახური უპირატესობას ანიჭებს დიდი ვარჯის მქონე ხეების დარგვას ბურქებთან და გაზონებთან მიმართებით. ამდენად, მწვანე ნარგავების რაოდენობა უნდა განისაზღვროს შემდეგნაირად: 10-12 კვ. მეტრი 1 ძირი მცირე ზომის ან პირამიდული ვარჯის მქონე ხისთვის (მაგ. ირმის რქა, ნეკერჩხალი (ლევა) ბურთისებრი ფორმა და სხვა), ხოლო 20-25 კვ. მეტრი დანარჩენი წიწვოვანი და ფოთლოვანი ხეებისთვის.

დასარგავი მწვანე ნარგავების სახეობა უნდა შეიჩეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2018 წლის 8 თებერვლის №05.14.147 განკარგულებით დამტკიცებული პრიორიტეტული ხეების სიიდან, გარდა შავი და ელდარის ფიჭვების, ვერხვის, ასევე კვიპაროვის სახეობების და ხილ-

## პენცროვანი ხელისა.

ვინაიდან, ქაღაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე და მის შემოგარენში, ელდარისა და შავი ფიჭვის სახეობებში მასობრივად არის გავრცელებული მავნებლებით გამოწვეული დაავადებები, რაც იწვევს მათ დაზიანებასა და სმობას, დაავადების გავრცელების ან/და ახალი კერების წარმოქმნის პრევენციის მიზნით, სამსახურს მიზანშეწონილად არ მიაჩნია გამწვანების პროექტში აღნიშნული სახეობების გამოყენება.

რაც შეეხება ვერხვის ხეებს, ისინი ტენის მოყვარული მაღლ მზარდი ხეებია, მათ გააჩნიათ საკმაოდ ძლიერი ფესვთა სისტემა, რომელიც ვითარდება წყლის მიმართულებით. შესაბამისად, ურბანულ სივრცეებში, შენობა-ნაგებობების, წყალ-გაყვანილობისა და კანალიზაციის მიღების დაზიანების გამომწვევი მიზეზი ხშირად ხდება. ასევე, მათი დაბალი ამორტიზაციის ასაკის გამო ვერხვის მტკრევადი ტოტები და წაქცევის საშიშროება საფრთხეს უქმნის მოსახლეობასა და კერძო საკუთრებას. აგრეთვე, ყვავილობის პერიოდში ვერხვის ბუსუსოვანი თესლი ჰაერში აქტიურად იფახტება და სერიოზულ საფრთხეს უქმნის აღერგის მქონე ადამიანებს; ასევე, ვინაიდან ვერხვი თავისი ჰაბიტატითა და სასიცოცხლო ფუნქციით ტენიანი ტერიტორიების ბინადარია და მისი აგრო-დეკორატიული დანიშნულება ქარსაცხავი ზოლის შექმნაა, ის უნდა დაირგოს დასახლებიდან მოშორებით. შესაბამისად, შესაძლო ზიანის პრევენციისათვის, მიზანშეწონილი არ არის ალვის ხის დარგვა ინტენსიურად დასახლებულ უბნებში.

აქვე გაცნობებთ, რომ ფოთლოვანი ხეების დარგვის შემთხვევაში ნერგის სიმაღლე უნდა იყოს **არანაკლებ 3.5 მეტრი**, ხოლო, წიწვოვანის შემთხვევაში - **არანაკლებ 3 მეტრი**, ხოლო ნერგის გარშემოწერილობა - **არანაკლებ 20 სანტიმეტრი**.

დამატებით გაცნობებთ, რომ დადგენილების მე-9 მუხლის მე-17 პუნქტის მიხედვით, განაშენიანების რეგულირების გეგმის შემუშავებისას იმ შემთხვევაში, როდესაც დასაგეგმარებელი ტერიტორია ხვდება შესაბამისი მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის სამღვრებში, დასაგეგმარებელ ტერიტორიაზე თვალსაჩინო ადგილას განთავსებულ საინფორმაციო დაფაზე განაშენიანების ძირითადი დებულებებით გათვალისწინებული ინფორმაციის გარდა აუცილებლად უნდა იყოს განთავსებული განაშენიანების რეგულირების გეგმით დაგეგმილი გამწვანების სივრცეების შესახებ ინფორმაცია.

გამოყენებულია პერიფერიული ალექტრონული ხელმოწერა/ელექტრონული შტამპი





ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის

# სსიპ ქონების მართვის სააგენტო



წერილის ნომერი: 61-01210753776  
თარიღი: 16/03/2021  
პინგი: 2907

ქადაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის  
ადრესატი: იურიდიული პირი ქადაქ თბილისის ქრანსპორტისა და ურბანული  
განვითარების სააგენტო  
მისამართი: თბილისი, შარტავას ქ. N7

გადამოწმეთ: [document.municipal.gov.ge](http://document.municipal.gov.ge)

სსიპ ქონების მართვის სააგენტომ, კომპეტენციის ფარგლებში განიხილა თქვენი 2021 წლის 15 მარტის N16-0121074907 (15.03.21 N12-01210742063-61) წერილი, რომელიც ესება ქადაქ თბილისში, დიდმის სასწავლო საცდელი შეურნეობის ტერიტორიაზე, მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავაღების დამტკიცების საკითხს. ვინაიდან საპროექტო არეალი მოიცავს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ 01.72.14.009.443 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთს, ითხოვთ სააგენტოს პოზიციის დაფიქსირებას.

აღნიშნულთან დაკავშირებით გაცნობებთ, რომ სსიპ ქონების მართვის სააგენტო, არ არის წინააღმდეგი მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 01.72.14.009.443 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთი, მოექცეს განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავაღების საპროექტო არეალში.

პატივისცემით,

ირაკლი თაგარიშვილაძე

სააგენტოს უფროსი


გამოყენებულია გვალიფიციური  
ელექტრონული ხელმოწერა/  
ელექტრონული შტამპი





KA021783100001920

სახელმწიფო ქონების  
ინვენტური სააგენტო



NATIONAL AGENCY  
OF STATE PROPERTY

თბილისი 0179, ი.ჭავჭავაძის გამზ. 49ბ  
ტელ: (+995 32) 2 98 11 11  
info@nasp.gov.ge

49a I.Chavchavadze avenue, 0179 Tbilisi, Georgia  
Tel: (+995 32) 2 98 11 11  
info@nasp.gov.ge

N6/71381

31 / დეკემბერი / 2020 წ.

**ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულ პირს ქალაქ თბილისის  
ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს**

სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნულ საგენტოში წარმოდგენილია თქვენი 28.12.2020 წლის N16-0120363736 წერილი, რომელიც ეხება 2018 წლის 12 ივნისს შპს „დრიმ პალასისთან“ გაფორმებული ხელშეკრულების (რეესტრის N2018042564854) საფუძველზე, სააგენტოს მიერ პრივატიზებული, ქ. თბილისში, დიღმის სასწავლო საცდელი მეურნეობაში მდებარე მიწის ნაკვეთის - საკ. კოდი: 01.72.14.009.523 სამშენებლო განვითარების საკითხებზე აშშ-ს საელჩოს (შემდგომში „საელჩო“) მიერ დაწესებული შეზღუდვა/რეკომენდაციების თაობაზე ინფორმაციის მოწოდებას და ამ უკანასკნელი მიწის ნაკვეთის, ურბანული თვალსაზრისით (გრგ), დამოუკიდებლად განვითარების საკითხებზე რეკომენდაციის წარმოდგენას.

განვიმარტავთ, რომ საელჩოს მიერ განსაზღვრული, ზემოაღნიშნული, შეზღუდვა/რეკომენდაციები (მათშორის 2020 წლის 25 ივნისის წერილით მოწოდებული რეგულაციები) სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთებთან ერთად, სრულად ვრცელდება შპს „დრიმ პალასის“ საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.72.14.009.523). ამასთან, საელჩოს მხრიდან დასახელებული შეზღუდვა/რეკომენდაციების მოწოდება განხორციელებულია სალჩოს, სააგენტოსა და შპს „დრიმ პალასს“ შორის 2020 წლის დასაწყისში გამართული სამხრივი შეხვედრის ფორმატში, ამავე კომპანიის მიერ წარდგენილი დოკუმენტაციის გათვალისწინებით.

დამატებით განვიმარტავთ, რომ სააგენტო გამოხატავს თანხმობას - შპს „დრიმ პალასის“ მიერ პრივატიზებული - ქ. თბილისში, დიღმის სასწავლო საცდელი მეურნეობაში მდებარე, პრივატიზებული მიწის ნაკვეთი (საკ. კოდი: 01.72.14.009.523) სამშენებლოდ განვითარდეს დამოუკიდებლად, ამავე საკადასტრო კოდით იდენტიფიცირებული საზღვრების ფარგლებში. ამასთან მრავალფუნქციური კომპლექსის სამშენებლო/გეგმარებითი პროცედურები ნაწარმოები იქნას საელჩოს 2020 წლის 25 ივნისის წერილში ასახული და სააგენტოს 2020 წლის 30 ივნისის N6/33914 წერილში წარმოდგენილი რეგულაციების სრული დაცვით.

დამატებით გიგზავნით, აშშ-ს საელჩოსთან ზემოაღნიშნულ საკითხზე შეთანხმებულ, მოთხოვნილ, დოკუმენტაციის ასლებს.





KA021743939115420

**სახელმწიფო ქონების  
ეროვნული სააგენტო**



**NATIONAL AGENCY  
OF STATE PROPERTY**

თბილისი 0179, ი.ჭავჭავაძის გამზ.49ა

ტელ: (+995 32) 2 98 11 11

info@nasp.gov.ge

49a I.Chavchavadze avenue, 0179 Tbilisi, Georgia

Tel: (+995 32) 2 98 11 11

info@nasp.gov.ge

**N 6/29419****09 / ივნისი / 2020 წ.**

ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს საქართველოში ბრაიან ელ იენიკ-ს

**U.S. Embassy in Georgia****Mr. Brian L. Janik**

ბატონობრივი ბრაიან,

მადლობა მინდა გადაგიხადოთ თბილისში, ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს კუთვნილი ქონების მიმდებარედ, სახელმწიფო საკუთრებაში არსებული, ამჟამად განუვითარებელი ტერიტორიული სივრცის შესაძლო სამომავლო განვითარების საკითხებზე დათმობილი ყურადღებისათვის და თანამშრომლობისათვის. ამასთან სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს მხრიდან 2020 წლის 2 მარტს წარმოდგენილ N6/13870 წერილზე დამატებით მინდა მოგაწოდოთ შემდეგი დაზუსტებული ინფორმაცია:

სააგენტოსათვის ცნობილია, რომ ზემოთდასახელებული ტერიტორიული სივრცის სახელმწიფოს მხრიდან სამომავლო ურბანული განვითარება ცალსახად უნდა შეესაბამებოდეს და აკმაყოფილებდეს ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს N061/07 დიპლომატიური ნოტის ფარგლებში დაფიქსირებული საელჩოს უსაფრთხოების დაცვის მიზნით განსაზღვრულ შეზღუდვებსა და პირობებს, ამასთან.

We would like to thank you for your attention and cooperation concerning the future development issues of state owned property close to the US Embassy. Hereby we would like to provide additional information to the NASP letter submitted on March 2 (#6/13870).

We all agree that the urban planning and development of mentioned territory should be in accordance with U.S. Embassy Diplomat Note N061/07 and satisfy all safety measures and defined restrictions. Specifically:

- ყველა დისტანცია, რომელიც განსაზღვრავს საელჩოს შეზღუდვის ზონებს, უნდა შეფასდეს საელჩოს სარგისტრაციო საზღვრებიდან, და არა საელჩოს ან რომელიმე შენობის ცენტრიდან;

All distances should be measured from Embassy Compound boundary (the property line), not from the center of Embassy or other buildings.

- შენობის ყველა სიმაღლე უნდა შეესაბამებოდეს N061/07 დიპლომატიური ნოტაში მითითებულ შეზღუდვებს. ამასთან, ქონების რელიეფურობის გათვალისწინებით, ახალი შენობები შეიძლება აღემატებოდეს დასაშვებ სიმაღლეებს, იმ შემთხვევაში თუ ისინი კვლავ დააკმაყოფილებს საელჩოს (მიწის) დონიდან, კერძოდ ზღვის დონიდან 426,39 მ-დან განსაზღვრულ სიმაღლის შეზღუდვას.

The height of buildings should comply with the note N061/07, however, due to the landscape characteristic, the new buildings may be higher in case if they are below marginal elevation rate (+426,39).

გაწული რეკომენდაციების ფარგლებში სააგენტო კიდევ ერთხელ გამოხატავს პოზიციას - მაქსიმალურად უზრუნველყოს დიპლომატიური ნოტაში მითითებულ შეზღუდვების გათვალისწინება, მათშორის სამიმავლოდ განსავითარებელი უკლებლივ ყველა შენობის სიმაღლე შესაბამისობაში იყოს ამავე დიპლომატიური ნოტაში მითითებულ შენობათა დასაშვებ სიმაღლეებთან (საელჩოს კომპლექსის გარე პერიმეტრზე 200 მეტრის რადიუსში არაუმეტეს 10 მეტრი სიმაღლის, ხოლო 500 მეტრის რადიუსში არაუმეტეს 17 მეტრი სიმაღლის შენობა/ნაგებობები).

We would like once again to highlight that NASP will comply with all regulations of note N061/07 concerning the limitations of building height (10 m within 200 m perimeter and 17m within 500 m from Embassy).

ირკვევა, რომ ზემოთ მითითებული დასაგვამარტებელი ტერიტორიული სივრცის (84291 კვ.მ მიწის ნაკვეთის) ის ნაწილი, რომელზედაც დაშვებულია 17 მეტრამდე სიმაღლის მქონე შენობების განთავსება და რომელიც განთავსებულია საელჩოს კომპლექსის გარე პერიმეტრზე 200 მეტრამდე 500 მეტრამდე რადიუსში, ქონების რელიეფურობის გათვალისწინებით მდებარეობს საელჩოს კუთვნილი ქონების მიწის რელიეფური სიმაღლეზე საშუალოდ 5-11 მეტრით დაბალ სიმაღლეზე (კერძოდ 415.10-421.82 მეტრზე), რისი გათვალისწინებითაც შესაძლებლობის ფარგლებში გთხოვთ, გაგვაწიოთ დადებითი რეკომენდაცია - სააგენტოს მხრიდან მითითებული ტერიტორიის ურბანულად დაგეგმარების შემთხვევაში განსათავსებელი შენობა-ნაგებობათა დასაშვები სიმაღლეებისა და სართულიანობის სავალდებულო შეზღუდვა გათვალისწინებულ იქნას საელჩოს(მიწის) დონიდან (426,39 მ) განსაზღვრული სიმაღლიდან, შესაბამისად აღნიშნული ათვლის წარმოებისას საელჩოს(მიწის) დონის განსაზღვრულ სიმაღლეზე, კერძოდ ზღვის დონიდან 426,39 მ-ზე უფრო დაბალი მონაკვეთი არ იქნას გათვალისწინებული ამავე ათვის საწყის ორიენტირად. ამასთან სააგენტო კიდევ ერთხელ გამოხატავს მზადყოფნას სრულყოფილად იქნას გათვალისწინებული დიპლომატიურ ნოტაში საელჩოს უსაფრთხოების დაცვის მიზნით განსაზღვრული უკლებლივ ყველა შეზღუდვა და პირობები.

The part of territory from the land plot in 8,4291sq. m in 200-500 meters around the Embassy, where 17 m buildings are available, due to the landscape diversities are 5-11 m. below the Embassy altitude(on 415.1-421.82 m.). Please provide your recommendations concerning the future spatial development of the area and possibility of measuring building marginal heights from the altitude of US Embassy elevation rate (+426,39) instead of ground level of individual area.

Once again, we would like to highlight the fact that this should comply with all respective safety measures and restrictions.

სახელმწიფო ქონების პრივატიზების  
დეპარტამენტის უფროსი

ხელმოწერილია/  
შეაგრძელებულია  
ელექტრონულად

ზურაბ წიქვაძე



# ქართული მთავრობის მუნიციპალიტეტის მთავრობა



**განკარგულება - N 21.326.377  
17 / მარტი / 2021 წ.**

ქალაქ თბილისში, დიდმის სახელით საცდელ მეურნეობაში არსებულ მიწის ნაკვეთებზე  
(საკადასტრო კოდები: N01.72.14.009.523; N01.72.14.009.443) მრავალფუნქციური კომპლექსის  
განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის მოწონების  
თაობაზე

ქალაქ თბილისში მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისში მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა  
და ურბანული განვითარების საგენტოს 2020 წლის 23 დეკემბრის N0120358710-67 (N01210724-67)  
განცხადებით მიმართა ტარიელ გიორგაძემ (პ/ნ 21001003069) და მოითხოვა ქალაქ თბილისში, დიღმის  
სახელით საცდელ მეურნეობაში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N01.72.14.009.523;  
N01.72.14.009.443) მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი  
დავალების პროექტის დამტკიცება.

საპროექტო ტერიტორია მდებარეობს ქ. თბილისში, დიდი დიღმისა და გლდანის დამაკავშირებელი  
ხიდის (მინდელის ხიდის) მიმდებარედ, მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე. ტერიტორიას აღმოსავლეთიდან  
და ჩრდილოეთიდან საზღვრავს ბოლ უოლშის ქუჩა. დასავლეთით ესაზღვრება კერძო, თვითმმართველის  
და სახელმწიფოს მიწის ნაკვეთები; ბოლ უოლშის ქუჩის დასავლეთით ყალიბდება მრავალფუნქციური  
საცხოვრებელი კომპლექსები, ხოლო აღმოსავლეთით (მდ. მტკვრის მხარეს) გაშენებულია  
მულტიდისციპლინური სპორტულ-გამაჯანსაღებელი კომპლექსი ("ოლიმპიური ქალაქი"), რომელიც  
მოიცავს სხვადასხვა სპორტული დისციპლინის მოედნებს, დარბაზებსა და საცურაო აუზებს. გარდა  
"ოლიმპიური ქალაქისა", ხაკვლევ ტერიტორიაზე ვეზდება მრავალფუნქციური საცხოვრებელი  
კომპლექსი "მწვანე აღმასი", მჭიდრო საცხოვრებელი უბანი, რომლის სართულიანობა 9-დან 22-მდე  
მერყეობს. ტერიტორიის დასავლეთი ნაწილი რელიეფის სპეციფიკან გამომდინარე, ამ ეტაპზე  
აუთვისებელია, ხოლო სამხრეთ-დასავლეთით მდებარეობს აშშ-ის ხაელჩო. ბოლ უოლშის ქუჩა  
აღმაშენებლის ხეივანს, ჯორჯ ბალანჩინის ქუჩით უკავშირდება. უშუალოდ საპროექტო ტერიტორიის  
მიმდებარედ ჩამოყალიბებულია ვრცელოვანი გზა, რომელიც პირდაპირ აკავშირებს ბოლ უოლშის ქუჩას  
აღმაშენებლის ხეივანთან. აღნიშნული ქუჩებიდან ყველა მათგანი ორმხრივი მიმართულებისაა.

საპროექტო ტერიტორია ხვდება აშშ-ს საელჩოს შეზღუდვის 500 მეტრიან ბუფერულ ზონაში  
სადაც, სამშენებლოდ განვითარება შეზღუდულია განსაზღვრული პირობებით. სსიპ - სახელმწიფო  
ქონების ეროვნული საგენტოს 2020 წლის 31 დეკემბრის N6/71381 (რეგისტრაციის: N06-01203661341-  
16) წერილის შესაბამისად, მრავალფუნქციური კომპლექსის სამშენებლო/გეგმარებითი პროცედურები  
ნაწარმოები უნდა იქნეს აშშ-ს საელჩოს 2020 წლის 25 ივნისის წერილში ასახული და სსიპ - სახელმწიფო  
ქონების ეროვნული საგენტოს 2020 წლის 30 ივნისის N6/33914 წერილში წარმოდგენილი რეგულაციების  
სრული დაცვით. კერძოდ, „უკლებლივ ყველა შენობის სიმაღლე შესაბამისობაში იყოს ამერიკის  
შეერთებული შტატების საელჩოს N061/07 დიპლომატიური ნოტაში მითითებულ შენობათა დასაშვებ  
სიმაღლეებთან (საელჩოს კომპლექსის გარე პერიმეტრზე 200 მეტრის რადიუსში არაუმეტეს 10 მეტრი  
სიმაღლის, ხოლო 500 მეტრის რადიუსში არაუმეტეს 17 მეტრი სიმაღლის შენობა/ნაგებობები)“. ამასთან,  
განსათავსებელი შენობა-ნაგებობათა დასაშვები სიმაღლეებისა და სართულიანობის სავალდებულო  
შეზღუდვა უნდა აითვალის აშშ-ს საელჩოს ნული ნიშნულიდან (+426.39).

„დედაქალაქის მიწათსარებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის  
მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგნილებით დამტკიცებული  
მიწათსარებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის - რეკის მიხედვით, საპროექტო  
ტერიტორიაზე ვრცელდება საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2 (სსზ-2), ნაწილობრივ სარეკრეაციო ზონა 2



(რზ-2) და სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1). ასევე, იგი მდებარეობს „დიღმის ჭალების“ ქალაქებებით „A“ არეალში, სადაც განვითარება დასაშვებია განაშენიანების რეგულირების გეგმის შესაბამიად.

შემოთავაზებული წინადადებით იგეგმება მრავალფუნქციური კომპლექსის მშენებლობა, კომერციული და სხვა (33%) საცხოვრებელი (67%) ფუნქციებით.

საპროექტო წინადადებით ტერიტორია წარმოდგენილია ორი საკადასტრო ერთეულის სახით, რომლიდანაც ერთი წარმოადგენს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ ტერიტორიას, აღნიშნული ნაკვეთის სამშენებლო განვითარება დაზუსტებულ იქნება განაშენიანების რეგულირების პროექტის შეთანხმების ეტაპზე. ხოლო ამ ეტაპზე ხდება დაგეგმილი მისასვლელი გზის მოწყობა და შესაბამისად, გათვალისწინებულია სერვიტულის დადგენა.

დაგეგმილია 5 შენობის განთავსება:

1 ბლოკი: 8 სართული (+415.39)

2 ბლოკი: 8 სართული (+415.49)

3 ბლოკი: 7 სართული(+418.82)

4 ბლოკი: 6 სართული(+421.22)

5 ბლოკი: 6 სართული (+421.72)

არსებული ზონების სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) და სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) ცვლილება საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2-ით (სსზ-2).

საპროექტო ფუნქციური ზონირება: საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2 (სსზ-2);

$\alpha_1=0.5$  (5655 კვ.მ);  $\alpha_2=3.5$  (40 500 კვ.მ);  $\alpha_3=0.3$  (3548 კვ.მ);

სატრანსპორტო ინფრასტრუქტურისთვის (გზა, ქუჩა, ავტოსადგომი) განკუთვნილი ტერიტორია: 1518 კვ.მ

„ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის N14-39 დადგენილებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების წესების მე-9 მუხლის მე-4, მე-5 და 5<sup>1</sup> პუნქტების შესაბამისად, განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცებასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოების ორივე ეტაპს აწარმოებს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული პოლიტიკის განმახორციელებელი ადმინისტრაციული ორგანო. ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული უფლებამოსილების განხორციელებისას, დაგეგმარებითი ამოცანების სრულყოფილად შესრულების მიზნით, ადმინისტრაციულ წარმოებაში მონაწილეობას იღებს გარემოს დაცვის პოლიტიკაზე უფლებამოსილი მერიის სტრუქტურული ერთეული. ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული უფლებამოსილების განხორციელებისას, აღნიშნული ადმინისტრაციული წარმოების განმახორციელებელი ადმინისტრაციული ორგანოს სატრანსპორტო პოლიტიკაზე უფლებამოსილი სტრუქტურული ერთეულის ჩართვა სავალდებულოა:

ა) გაუნაშენიანებელ ტერიტორიებზე განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცებასთან დაკავშირებით ადმინისტრაციული წარმოების პროცესში;

ბ)თუ წარმოდგენილი საპროექტო წინადადებით/გადაწყვეტით საპროექტო ტერიტორიისათვის გათვალისწინებული განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტით განსაზღვრული მაქსიმალური საანგარიშო ფართობი აღემატება 5000 კვ.მ-ს (გარდა დამის კლუბის, სასაწყობო, საწარმოო და სამრეწველო ობიექტების, საგამოფენო დარბაზის, მუზეუმის, ბიბლიოთეკის და საკულტო ნაგებობის განაშენიანების რეგულირების გეგმებისა).

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის 2021 წლის 16 მარტის N01210753261 წერილის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის სამსახური, კომპეტენციის ფარგლებში, თანახმა დამტკიცდეს მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალება.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სისპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს 2021 წლის 15 მარტის N01210744102 წერილის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სისპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო არ არის წარმოდგენილი განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების დამტკიცების წინააღმდეგი.

„ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის N14-39 დადგენილებით დამტკიცებული წესების მე-3 მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტების შესაბამისად, თბილისის ქალაქთმშენებლობითი განვითარების პრიორიტეტია არსებული განაშენიანებული ტერიტორიების გამოყენების რაციონალიზაცია და ეფექტურობის გაზრდა, მათ შორის, ამორტიზებული ან/და დეგრადირებული განაშენიანების განახლება-განვითარება. გაუნაშენიანებელი ტერიტორიების ათვისება დაიშვება მხოლოდ განაშენიანებული ტერიტორიების ქალაქგანვითარების პოტენციალის ამოწურვის ან/და საზოგადოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე, საქართველოს კანონმდებლობითა და განაშენიანების რეგულირების წესებით განსაზღვრული პროცედურებით მიღებული ქალაქთმშენებლობითი დოკუმენტებით. თბილისის ტერიტორიების განაშენიანების რეგულირების წესებით დაშვებული ნებისმიერი ფორმით გამოყენება და განაშენიანება დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევებში, თუ ტერიტორიები უზრუნველყოფილია სათანადო საინჟინრო და სატრანსპორტო ინფრასტრუქტურით.

ყოვლივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ქალაქ თბილისში, დიღმის სასწავლო საცდელ მეურნეობაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდები: N01.72.14.009.523; N01.72.14.009.443) მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცება დასაშვებია.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 75-ე მუხლის „ე.ბ“ ქვეპუნქტისა და „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის N14-39 დადგენილებით დამტკიცებული წესების მე-9 მუხლის მე-6 პუნქტის, ასევე, N0120358710-67 (N01210724-67) განცხადებაზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სისპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს მიერ მომზადებული დასკვნის საფუძველზე,

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ გადაწყვიტა:

1. მოწონებულ იქნეს ქალაქ თბილისში, დიღმის სასწავლო საცდელ მეურნეობაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდები: N01.72.14.009.523; N01.72.14.009.443) მრავალფუნქციური

კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტი, ამ განკარგულების დანართის შესაბამისად.

2. წინამდებარე განკარგულების პირველი პუნქტით მოწონებული განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტი დასამტკიცებლად გადაეგზავნოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს.

3. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის პირველ მოადგილეს (ვიცე-მერი) ირაკლი ხმალაძეს.

4. ამ განკარგულების გასაჩივრება, დაინტერესებული მხარის მიერ, შესაძლებელია მისთვის განკარგულების გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი N64), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერი

გახა გალაძე

